ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2681881

ნომერი: AR1417887

თარიღი : 29.06.2016

გაცემის თარიღი : 30.06.2016

გაცნობის თარიღი : 30.06.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერის , ავტოტექმომსახურეობის გვერდით; ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერის , ავტოტექმომსახურეობის გვერდით;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ხაჩატურიანი პ/ნ 35001002910
- რუსთავი XX მ/რ კორ. 18 ბ. 67

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2016 წლის 29 ივნისის AR141788 განცხადება, რომლითაც ითხოვთ #01.10.06.001.203 და #01.10.06.001.204 მიწის ნაკვეთებზე (ძველი საკადასტრო კოდი #01.10.06.001.020) მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მომზადებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად მიღებული ორი საკადასტრო ერთეულის დასაფიქსირებლად, გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე, კომერციული) განსათავსებლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის #212 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №135 (13.05.16.) განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. აქედან გამომდინარე ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, რაც არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხებისას საკითხი განსახილველად უნდა დააყენოთ შემდგომ სტადიებზე: II სტადია - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება AR1417887 (29.06.16.) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.